

რეპროდუქციული ასაკის მქონე ქალების ცნობიერების დონის შეფასება  
საქართველოში თრომბოფილიის გენეტიკური კვლევის როლის შესახებ  
ოჯახის დაგეგმვისა და ორსულობის ადრეული ეტაპზე

ავტორი: ანა კუჭავა

*„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის,  
ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.“*

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ირმა ბურჯანაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წელი

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

ანა კუჭავა

15/06/2023

## აბსტრაქტი

თრომბოფილია დაავადებაა, რომელიც სისხლის შედედების მომატებული უნარით ხასიათდება და ხელს უწყობს თრომბების წარმოქმნას. თრომბოფილიის ორი სახეობა გვხვდება როგორც ორსულ, ასევე არაორსულ ქალებში: შეძენილი და გენეტიკური. მათი დიაგნოსტიკების და გამოვლინების გზები განსხვავებულია. თავისმხრივ, თრომბოფილია ერთ-ერთი რისკ-ფაქტორია ორსულობამდე და ორსულობის პერიოდში გართულებების წარმოქმნისთვის. შეძენილი თრომბოფილიისგან განსხვავებით, გენეტიკურ ფორმას ყოველთვის ოჯახური ანამნეზი უძღვის წინ. შესაბამისად, გენეტიკური დიაგნოსტიკება ადექვატური ანამნეზის შეგროვების ფონზე არის შესაძლებელი. თრომბოფილიის გენეტიკური ფორმა კიდევ უფრო რთული სამართავია, ვიდრე შეძენილი. თუმცა, ექიმების უმრავლესობა აღნიშნავს დროული მკურნალობის ეფექტურობას ორსულობის დადგომა/განვითარებისთვის. საქართველოში მცხოვრებ რეპროდუქციული ასაკის მქონე ქალებში ჩატარდა კვლევა თრომბოფილიის გენეტიკურ დიაგნოსტიკების შესახებ ცნობიერების დონის შეფასების მიზნით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ასულმა ქალმა. ძირითად საკვლევ თემასა და საკითხებს წარმოადგენდა ოჯახის დაგეგმვის პროცედურის, თრომბოფილიის დაავადების, თავისებურებების, დიაგნოსტიკების, თრომბოფილიისა და ორსულობის კორელაციის შესახებ ზოგადი ინფორმაციის შესაძლო ფლობა და ასევე, ინფორმაციის სახეობის განსაზღვრა საქართველოს მოსახლეობაში, კონკრეტულად კი რეპროდუქციული ასაკის მქონე ქალებში. საკვლევ თემა მოიაზრებდა ოჯახის დაგეგმვისა და ორსულობის ადრეულ სტადიაზე თრომბოფილიის გენეტიკური დიაგნოსტიკების როლის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის განსაზღვრას და შეფასებას რეპროდუქციული ასაკის მქონე ქალებში. თემის სიღრმიდან გამომდინარე, საკვლევად შეირჩა კონკრეტული საკითხი. კერძოდ: თრომბოფილია და მისი გენეტიკური სახის დიაგნოსტიკება, რომელიც მოიცავს 4

ძირითადი გენის მუტაციას. ასევე, განისაზღვრა აღნიშნული გამოკვლევის ჩატარების სიხშირე და ინფორმაციის წყარო მოსახლეობისთვის.

ნაშრომში ასევე, წარმოდგენილია დაბატებითი ინფორმაცია მსოფლიო მასშტაბით თრომბოფილიასთან დაკავშირებით ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შესახებ. კერძოდ, თრომბოფილია და ორსულობა, თრომბოფილიის გართულებები ორსულებში, თრომბოფილიით გამოწვეული პრეეკლამპსია, ცილა S და C დეფიციტი ორსულებში, მემკვიდრული თრომბოფილია და ორსულობის მიმდინარეობა, პლაცენტის ჩამოშლა პრეეკლამფსიის დიაგნოზის ფონზე და სხვა. აღნიშნული კვლევები ჩატარდა მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებში კვლევის შესამისად შედგენილი კრიტერიუმების მიხედვით შერჩეული ჯგუფების მონაწილეობით. ძირითადი ნაწილი კვლევებისა მიმდინარეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუმინეთში, ისრაელში. კვლევები ჩატარეს აღნიშნული ქვეყნების წამყვანმა სამედიცინო უნივერსიტეტებმა თუ ლაბორატორიებმა, რომლებიც ორიენტირებულნი არიან გინეკოლოგიასა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის თავისებურებების შესწავლაზე. შესწავლილ იქნა პრეეკლამფსიის კავშირი ორსულობის გართულებებთან თრომბოფილიის გენის მატარებელი ქალებში. ასევე, ნაყოფის ანტენატალური დაღუპვისა და მკვდრადშობადობის, პლაცენტის ჩამოშლის თავისებურებები თრომბოფილიის გენის მუტაციების შემთხვევაში.

ორსულობამდე და ორსულობის პერიოდში თრომბოფილიის გენეტიკური დიაგნოსტიკების მნიშვნელობის შესახებ საქართველოში ჩატარებული კვლევისთვის გამოყენებულ იქნა კვლევის 2 მეთოდი: რაოდენობრივი და თვისებრივი. რაოდენობრივი მეთოდით ჩატარდა კვლევა, რომელმაც ზოგადი წარმოდგენა შეგვიქმნა ორსულობამდე და ორსულობის პროცესში თრომბოფილიის თავისებურებების და დიაგნოსტიკების როლის შესახებ ქვეყანაში არსებულ ინფორმაციის დონესთან დაკავშირებით. დამატებით, ჩატარდა თვისებრივი კვლევა ინტერვიუს მეთოდით, რომლის მეშვეობითაც უფრო დეტალურად მივიღეთ

ინფორმაცია ქალებისგან, რომელთაც რეპროდუქციული პრობლემები ჰქონდათ, მათ შორის თრომბოფილით დაავადებული ქალებისგან. რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევები ჩატარდა სოციალური პლატფორმის საშუალებით. კერძოდ, რაოდენობრივი Google Form-ის, ხოლო თვისებრივი Zoom პლატფორმის გამოყენებით ინტერვიუს სახით. ორივე შემთხვევაში გამოყენებულ იქნა განსხვავებული სახის კითხვარი, კითხვების სხვადასხვა რაოდენობით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18-51 წლის ასაკობრივი ჯგუფის მდებრობითი სქესის წარმომადგენლებმა. ნაშრომში დეტალურად განხილულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების ჩატარების სფეციფიკა და მიღებული შედეგები. ასევე, დაცულია სიღრმისეული ინტერვიუს შემთხვევაში რესპონდენტთა ანონიმურობა.

ორსულობამდე და ორსულობის პერიოდში თრომბოფილიის გენეტიკური დიაგნოსტიკების მნიშვნელობის შესახებ საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ მნიშვნელოვანია ყურადღება დავუთმოთ ისეთი საკითხების პოპულარიზაციას, რომელიც დადებით გავლენას მოახდენს როგორც თითოეულ ქალსა და მათ ოჯახებზე, ასევე ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. შესაბამისად, ოჯახის დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომი იყოს ყველა ადამიანისთვის ინფორმაცია თრომბოფილიის არსისა და მნიშვნელობის, მისი დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის მეთოდების, რისკ-ფაქტორების შესახებ. გამომდინარე იქედან, რომ დიაგნოსტიკა არც თუ ისე დაბალ ხარჯებთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ხელმისაწვდომი იყოს იმ ადამიანებისთვის, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ რეპროდუქციული ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემები, განსაკუთრებით გენეტიკური თრომბოფილია.

ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დადასტურდა ინფორმაციის ნაკლებობა ორსულობამდე/ორსულობის პერიოდში თრომბოფილიის დაავადების თავისებურებებისა და გენეტიკური დიაგნოსტიკების შესახებ საქართველოში

მცხოვრებ რეპროდუქციული ასაკის ქალებში. შესაბამისად, შემუშავდა რეკომენდაციები თრომბოფილიის დაავადების და დიაგნოსტიკის შესახებ ცნობიერების დონის ასამაღლებელი ღონისძიებების ჩამოყალიბების მიზნით. ამ მიზნით უნდა დარიგდეს ბროშურები, დაიგეგმოს რეკლამირება, ჩატარდეს კვლევები აღნიშნული საკითხის შესახებ ცნობიერების დონის შეფასების მიზნით, ექიმ-სპეციალისტების მაქსიმალური ჩართვა საინფორმაციო პროგრამებში. თუმცა, მნიშვნელოვან საკითხად რჩება ის, რომ ყველა ინფორმაცია უნდა იყოს თემის რელევანტური და სწორად უნდა მიეწოდოს თითოეულ ადამიანს, რათა ინფორმირებული იყვნენ რომ აღნიშნული გამოკვლევები მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ტარდება და გეგმიურ გამოკვლევად არ მოიაზრება.

## **Abstract**

Thrombophilia before and during pregnancy. Two types of thrombophilia occur in both pregnant and non-pregnant women: Acquired and Genetic Thrombophilia. The ways of their diagnosis and manifestation are different. Thrombophilia is an increased blood clotting ability that promotes the formation of clots. On the other hand, thrombophilia is one of the risk factors for complications before and during the pregnancy. Unlike acquired thrombophilia, the genetic form is always preceded by a family history. Accordingly, genetic diagnosis is possible based on adequate anamnesis collection. The genetic form of thrombophilia is even more difficult to manage than the acquired form. However, the majority of doctors mention the effectiveness of timely treatment for the occurrence/development of pregnancy. Regarding the genetic diagnosis of thrombophilia, a study was conducted, the purpose of which was to assess the awareness of the country's population of reproductive age, in particular, women. Several hundred women participated in the research. The main research topic and issues were the possible possession of general information and determination of the same information among the population of Georgia,

specifically among the women of reproductive age. The research topic was to assess the level of awareness of the population about the role of genetic diagnosis of thrombophilia in family planning and early pregnancy. A quantitative research was conducted, which gave us a general idea about the level of information in the country. In addition, a qualitative study was conducted, through which we obtained more detailed information from women with reproductive problems, including women with thrombophilia. Quantitative and qualitative studies were conducted through the social platform. In particular, using the quantitative Google Form, and the qualitative using the Zoom platform in the form of an interview. In both cases, a different type of questionnaire was used, with a different number of questions. Women from the age group of 18-51 participated in the study.

The results of the research showed us that it is important to pay attention to the promotion of issues that will have a positive impact on both individual women and their families, as well as on the demographic situation of the country. Therefore, at the stage of family planning, it is important to have information available to all people about the essence and importance of thrombophilia, its diagnosis and treatment methods, and risk factors. It is especially important to make diagnosis somewhat accessible to people who may have certain reproductive health problems, especially genetic thrombophilia. Due to the fact that diagnostics are not associated with very low costs. The paper discusses in detail the specifics of conducting quantitative and qualitative research and the obtained results. Also, in the case of an in-depth interview, the anonymity of the respondents is protected.

Based on the depth of the topic, a specific issue was selected for the research. Namely: thrombophilia and diagnosis of its genetic type, which includes mutation of 4 main genes. Also, the frequency of its implementation and the source of information for the population were determined.

The paper presents information about researches conducted worldwide regarding thrombophilia. In particular, thrombophilia and pregnancy, complications of thrombophilia

in pregnant women, preeclampsia caused by thrombophilia, protein S and C deficiency in pregnant women, hereditary thrombophilia and the course of pregnancy, placental abruption against the background of preeclampsia diagnosis, and others. These studies were conducted in different parts of the world with different scales of selected groups. The main part of the research is in the United States of America, Romania, Israel. Researches were conducted by the leading medical universities and laboratories of the mentioned countries, which are focused on the study of gynecology and reproductive health features. The association of preeclampsia with pregnancy complications in women carrying the thrombophilia gene was studied. Also, features of antenatal fetal death and stillbirth, placental abruption in case of thrombophilia gene mutations.

Based on the conducted research, it can be said that the lack of information among women of reproductive age living in Georgia has been confirmed. Accordingly, there was a need to develop recommendations for the establishment of measures to increase the level of informativeness. Whether it is forms of brochures or advertising, conducting appropriate surveys for the purpose of periodic inspection, maximum involvement of medical specialists in information dissemination programs. However, an important point remains that all information should be relevant to the topic and properly communicated to each person so as not to induce incentives in any case, even in the absence of a need to conduct research.